განკარგულება:**გ-37.37211891**
თარიღი:**08/07/2021**

განკარგულება N40

ქ. ოზურგეთი 7 ივლისი 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციის ხაზობრივი ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 26.00.699) ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 47014.58 გრძივი მეტრი მიწისქვეშა კომუნიკაციის ხაზობრივი ნაგებობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს/კ 26.00.698) 1217.81 გრძივი მეტრი მიწისქვეშა კომუნიკაციის ხაზობრივი ნაგებობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მთისპირი-ასკანა-მზიანში მდებარე (ს/კ 26.00.691) 41635.09 გრძივი მეტრი მიწისქვეშა კომუნიკაციის ხაზობრივი ნაგებობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მთისპირში მდებარე (ს/კ 26.00.697) 137.13 გრძივი მეტრი მიწისქვეშა კომუნიკაციის ხაზობრივი ნაგებობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ნასაკირალში მდებარე (ს/კ 26.00.694) 22252.69 გრძივი მეტრი მიწისქვეშა კომუნიკაციის ხაზობრივი ნაგებობის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს/კ 26.00.689) 7380 გრძივი მეტრი მიწისქვეშა კომუნიკაციის ხაზობრივი ნაგებობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სატისი“-სათვის (ს/ნ 437066201) უსასყიდლო უზუფრუქტით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის

არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი